

ჯავახეთის ზეგნის წყალ-ჭაობის ბოტანიკური მრავალფეროვნება (მცირე კავკასიონი)

შამილ შეთეკაური¹, ნანა ბარნაველი¹

ელ.ფოსტა: shetekauri@yahoo.com;

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. #13, 0179 თბილისი

ანოტაცია

წყალ-ჭაობის მცენარეთა თანასაზოგადოება ფართოდ არის გავრცელებული. ჯავახეთის ზეგანზე წარმოდგენილია დაახლოებით 60 დიდი და პატარა ტბა. ფლორისტულად ყველაზე მნიშვნელოვანია ტაბაწყურის, ფარავნის, საღამოს, მადატაფას, ბოლდაშენის, კარწახის ანუ ხოზაფინის ტბები ევრაზიული, დასავლეთ აზიურ-კავკასიური და ევროპულ-ხმელთაშუაზღვიური ისლის სახეობებით, როგორებიცაა: *Carex juncella* (განხილულია, როგორც რელიქტური სახეობა), *C. vesicaria*, *C. distachia*, *C. oreophila*, *C. medwedewii*, *C. tristis*, *C. acutiformis*, *C. acuta*, *Calamagrostis canescens*, *C. neglecta*, *Sagittaria sagittifolia*, *Menianthes trifoliata*, *Utricularia vulgaris* და ა.შ. აღსანიშნავია ბორეალური ფლორის ელემენტების არსებობა, რომლებმაც ამ არეალში შემოაღწიეს მეოთხეული გამყინვარების პერიოდში მცირე და შუა აზიის გავლით.

ისლიან-მარმუჭიან საზოგადოებაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცენარეულობის ტიპი - ისლები (*Carex acuta*, *C. distachia*, *C. vesicaria*), რომელიც დეტალურადაა შესწავლილი ჯავახეთის ზეგანზე და წარმოადგენს ამ საზოგადოების ძირითად შემადგენელ კომპონენტს. მცენარეთა სხვა სახეობებიდან აღსანიშნავია: *Ranunculus lingua*, *Poa palustris*, *Calamagrostis neglecta*, *C. arundinacea*, *Comarum palustre*, *Bistorta carnea*, *Eleocharis meridionalis*, *Rumex acetosa*, *Alisma plantago-aquatica*, *Utricularia vulgaris*, *Menianthes trifoliata*, *Potamogeton gramineus*, *Elatine alsinastrum*, *Lemna trisulca*, *Myriophyllum spicatum*, *Equisetum fluviatile* და სხვ. ცნობილია, რომ ეს ფიზიოლოგიურად უნიკალური საზოგადოება ფორმირდება იმ ადგილებში სადაც წყლის დონე იცვლება სეზონურად.